



ინფორმაცია პროექტზე



ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში

გაეროს ქალთა ორგანიზაცია წარმოადგენს გაეროს სააგენტოს, რომლის საქმიანობა გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისა და ქალთა გაძლიერებისკენაა მიმართული. იგი ეხმარება საქართველოს მთავრობას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა ქალის ეკონომიკური გაძლიერება და ქვეყნის განვითარებით მიღწეული პოზიტიური შედეგებით სარგებლობა.

ეთმობა სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას იმგვარი კანონების, სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება-განხორციელებისთვის, რომლებშიც გენდერული საკითხები უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული და რომელთა უშუალო სამიზნეებს ქალები ან მათი ცხოვრების ცვლილება წარმოადგენს.


 **გლობალური მაკროეჭები**

- კომპანიებს, რომლებშიც მრავალფეროვანი სამუშაო ძალა მუშაობს, **27%-ით** მეტი მოგება აქვთ და მათ მომხმარებელთა კმაყოფილება **39%-ით** მაღალია (წყარო: „სამუშაო ადგილის გელაპის კუმულაციური კვლევები“)
- პროდუქტიულობა თითო მშრომელის მიხედვით შეიძლება თითქმის **40%-ით** გაიზარდოს, თუ აღმოიფხვრება ქალი მშრომელებისა და მენეჯერების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმა (წყარო: მსოფლიო ბანკი)
- ქალები და მამაკაცები „შრომის ბაზარზე რომ იდენტურ როლებს ასრულებდნენ, 2025 წლისთვის მსოფლიო ეკონომიკას **28 ტრილიონი აშშ დოლარი** დაემატებოდა (წყარო: მაკკინზის გლობალური ინსტიტუტი)

ქალთა გაძლიერების პრინციპების დახმარებით, პროექტი „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში“ კომპანიებს ინფორმაციას აწვდის ბიზნეს საქმიანობაში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ და ეხმარება მათ სამომავლო ქმედებების განსაზღვრასა თუ განხორციელებაში. აღნიშნული საქმიანობა სამოქალაქო განვითარების სააგენტოსა და სახალხო დამცველის აპარატთან პარტნიორობით ხორციელდება.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტი „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში“, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, 2017 წლის დეკემბერში დაიწყო. პროექტის მიზანია, გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული კერძო სექტორისა და ხელშემწყობი სახელმწიფო საკანონმდებლო თუ ეკონომიკური გარემოს დახმარებით, ქალებმა საკუთარი ეკონომიკური უფლებების რეალიზება სრულად მოახდინონ. საგანგებო ყურადღება

თემის დონეზე, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასა და ფონდ „ტასოსთან“ თანამშრომლობით, პროექტი ხელს უწყობს ქალების შრომითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და მათ წვდომას იურიდიულ, ფინანსურ თუ ეკონომიკურ სერვისებზე. მეწარმე ქალებს, რომლებიც ბიზნესსაქმიანობაში უკვე ჩართულები არიან, პროექტი უფრო მსხვილ ბიზნესებთან და კორპორაციულ სანარმოო ჯაჭვებთან აკავშირებს.

 **საქართველოში არსებული მდგომარეობა**

- საქართველოში ქალთა ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებელი ვაცებთან შედარებით **29%-ით** ნაკლებია (წყარო: CRRC-საქართველო გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად)
- საქართველოში ეკონომიკურ საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის დაბალი დონე მშპ-ს **12%-ით** ამცირებს (წყარო: მსოფლიო ბანკი)

შედეგები

1. მოიმატებს კერძო სანარმოებს შორის კორპორაციული მდგრადობის გენდერული ასპექტის გაგება, გაიზრდება კერძო სანარმოების უნარი ქალთა გაძლიერების პრინციპების განხორციელების შესახებ
2. მთავრობასა თუ სხვა მხარეებს, კერძო სექტორთან პარტნიორობით, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელშეწყობი გარემოს შექმნაში დახმარება გაეწევთ
3. გაიზრდება ქალების, განსაკუთრებით კი ყველაზე მონყვლადი ქალების, ღირსეული სამუშაოს მოძიების უნარები და შესაძლებლობები. ქალთა სანარმოები ბაზარზე უფრო აქტიურები გახდებიან.



განხორციელების სტრატეგია

პროექტის მიზნების მიღწევის გზაზე გაეროს ქალთა ორგანიზაცია პროექტის საქმიანობების კოორდინირებისა და ურთიერთკავშირის უზრუნველყოფას ცდილობს. პროექტის განხორციელების სტრატეგია, რომელსაც საფუძვლად გაეროს ქალთა ორგანიზაციის გლობალური გამოცდილება და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სფეროში პროგრამული ინიციატივები უდევს, ყურადღებას შემდეგ ძირითად სფეროებზე ამახვილებს: (1) ფაქტებსა და მონაცემებზე დამყარებული ადვოკატირება პოლიტიკის გენდერული საკითხების გათვალისწინებით შექმნისთვის; (2) გენდერული ანალიზი გენდერული საკითხების მენისტრამინგის ხელშეწყობის მიზნით; (3) შესაძლებლობათა განვითარება; (4) სხვადასხვა დაინტერესებული მხარის დიალოგი სახელმწიფო-კერძო პარტნიორობების შესახებ; და (5) ქალთა გარიყული ჯგუფების სოციალური მობილიზება.

